ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1932 წ. ოქტომბრის 31. № 21 ნაწილი პირველი

შინაარსი

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა

189. მოკავშირე რესპუბლიკებისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულ პირთა უფლების შესახებ, როდესაც ისინი მუდმივ საცხოვრებლად საქართველოს სსრ-ში გადმოდიან.

190. „სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სტრუქტურისა, შტატებისა და მომუშავეთა სამუშაო ხელფასის განაკვეთების თაობაზე" გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

სამხედრო საქმე

191. წითელგვარდიელების და წითელპარტიზანების კატეგორიისათვის მოქალაქეთა მიკუთვნების პირობების შესახებ.

მრეწველობა

192. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სარეწაო კოოპერაციის სისტემის რეორგანიზაციისა და სარეწაო და საინვალიდო კოოპერაციის მუშაობის გარდაქმნის შესახებ.

მშენებლობა

193. 1932 წელს სარეწაო სამშენებლო კოოპერაციის ორგანიზაციებისათვის ავანსების მიცემის შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება

194. სასაქონლო ფონდების და ვაჭრობის რეგულირების კომიტეტის რწმუნებულთან საქართველოს სსრ-ში საასორტიმენტო ბიუროს მოწყობის შესახებ.

195. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის მოწესრიგების მუდმივი კომისიის დაარსების შესახებ.

196. შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულის სამმართველოს დაარსების შესახებ.

197. საქართველოს სსრ-ში 1932 წლის მოსავლის თამბაქოს ვადამდე დამზადების შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

198. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის დებულების მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ.

199. კომუნალურ საწარმოთა და ქალაქის კეთილმოწყობის აღწერის ჩატარების შესახებ.

200. განჯის საინჟენერო-სამედიცინო ინსტიტუტის აკადემიური პერსონალისათვის საცხოვრებელი ფართობის შენარჩუნების შესახებ.

ფინანსები

201. თამბაქოს ნათესის სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისათვის შემოსავლიანობის შემცირებული ნორმების დაწესების შესახებ.

202. „ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა თაობაზე" გამოცემული დადგენილების მე-18 მუხლის შენიშვნის შეცვლისა და მე-19 მუხლისათვის „თ" და „ი" პუნქტების დამატების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომა.

203. საშუალო და დაბალი სკოლის მასწავლებელთა სამუშაო ხელფასის დავალიანების შესახებ.

204. საქართველოს სსრ-ის შრომა-გასწორების დაწესებულებებში სამსახურის წესდების 12 და 21 მუხლების შეცვლის შესახებ.

სისხლის სამართალი

205. „სახელმწიფო საწარმოების, კოლმეურნეობების და კოოპერაციის ქონების დაცვისა და საზოგადოებრივი (სოციალისტური) საკუთრების განმტკიცების თაობაზე“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის აგვისტოს 7-ის დადგენილების საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განხორციელების შესახებ.

206. წყლის ტრანსპორტზე ტვირთის მტაცებლობის საქმეების ქვემდებარეობისა და ამ დანაშაულისათვის სასამართლო რეპრესიის ღონისძიებების შესახებ.

207. სამხედრო დანაშაულთა დებულების (სისხლის სამართლის კოდექსის დანართი) 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის შეცვლისა და სისხლის სამართლის კოდექსის 127[1], 127[2] და 127[3] მუხლების ამოშლის შესახებ.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

208. იმ დოკუმენტების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება სწარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად.

209. ალიმენტების გადახდის საქმეების სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოების ქვემდებარეობიდან გამორიცხვისა და სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოების დებულების მე-2 მუხლის „ბ“ ლიტერის შეცვლის შესახებ.

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა

189. დადგენილება ც.ა.კ.

მოკავშირე რესპუბლიკებისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულ პირთა უფლებების შესახებ, როდესაც ისინი მუდმივ საცხოვრებლად საქართველოს სსრ-ში გადმოდიან.

სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1932 წ. მაისის 27-ის დადგენილებისა („მოკავშირე რესპუბლიკების ორდენებით დაჯილდოებულ პირთა უფლებების შესახებ, როდესაც ისინი ერთი რესპუბლიკიდან მეორე რესპუბლიკაში გადადიან“—ოქმი № 38) და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1932 წ. ივნისის 25-ის დადგენილების (წინა დადგენილების განხორციელების შესახებ—ოქმი № 39, § 8) შესაბამისად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მიენიჭოთ ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულ პირთ, როდესაც ისინი მუდმივ საცხოვრებლად საქართველოს სსრ-ში გადმოდიან, ის უფლებანი და უპირატესობანი, რაც საქართველოს სსრ-ის კანონმდებლობით დადგენილია საქართველოს სსრ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულ პირთათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. თავიანთი უფლებების განსახორციელებლად ამ პირებმა დედანი დოკუმენტები, რაც ამტკიცებს ორდენით მათ დაჯილდოებას, უნდა წარუდგინონ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საქმეთა მმართველობას და მიიღონ მისგან მოწმობა შეღავათებით სარგებლობის უფლების შესახებ.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მ. დ. ა. **გ. კუჭაიძე.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მ. დ. ა. **ვ. ჭურდაძე.**

1932 წ. აგვისტოს 22.
ტფილისი.

---

190. დადგენილება ც.ა.კ.

„ხარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სტრუქტურისა, შტატებისა და მომუშავეთა სამუშაო ხელფასის განაკვეთების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წ. სექტემბრის 19-ის დადგენილება „სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სტრუქტურისა, შტატებისა და მომუშავეთა სამუშაო ხელფასის განაკვეთების შესახებ“ დანართითურთ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-19 №-ი, მუხ. 289; 23 №-ი, მუხ. 331; 24 №-ი, მუხ. 350; 1931 წ. მე-12 №-ი, მუხ. 131; მე-13 №-ი, მუხ. 149; 21 №-ი, მუხ. 212; 1932 წ. 5 №-ი, მუხ. 45) გაუქმებულ იქნეს.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მ. დ. ა. **გ. კუჭაიძე.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მ. დ. ა. **ვ. ჭურდაძე.**

1932 წ. აგვისტოს 3.
ტფილისი.

სამხედრო საქმე

191. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

წითელგვარდიელების და წითელპარტიზანების კატეგორიისათვის მოქალაქეთა მიკუთვნების პირობების შესახებ.

„ყოფილი წითელგვარდიელების და წითელპარტიზანების და მათი ოჯახებისათვის სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. იანვრის 13-ის დადგენილებით (სსრკ. კან. კრ. 1930 წ. მე-6 №-ი, მუხ. 64) დაწესებული შეღავათების თაობაზე მოწმობების გაცემისა და წითელგვარდიელებისა და წითელპარტიზანების შედგენილობაში ამა თუ იმ პირის ნამდვილად ყოფნის გამორკვევის წესების“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1-ლი №-ი, მუხ. 3) 1-ლი და მე-2 მუხლების განსავითარებლად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. წითელპარტიზანების კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს ის მოქალაქე, ვინც 1917 წლიდან 1921 წლამდე განვლილ პერიოდში, ერთობლად არა ნაკლებ სამი თვისა, აქტიურად იბრძოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის იმ რაზმების რიგებში, რომლებიც მოქმედობდენ მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ, აგრეთვე ის მოქალაქე, რომელიც იმყოფებოდა წითელ პარტიზანულ რაზმში და მონაწილეობას იღებდა შეიარაღებულ აჯანყებაში მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ, მაგრამ ვერ მოახერხა სამთვიანი სტაჟის შეძენა პარტიზანული რაზმის განადგურების გამო და იძულებული გახდა გასულიყო საქართველოს ფარგლებიდან ან შეპყრობილ იქნა და შეიარაღებულ აჯანყებაში მონაწილეობისათვის მას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა განსაზღვრული ვადით.

2. წითელგვარდიელებისა და წითელპარტიზანების კატეგორიას არ შეიძლება მიეკუთვნოს ის პირი, რომელიც მსჯავრდადებულია სათანადო ორგანოს მიერ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობისათვის საქართველოში მენშევიკური ხელისუფლების არსებობის დროს ან შემდეგ.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მ. დ. ა. **გ. კუჭაიძე.**

სრ. სსრ. ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მ. დ. ა. **ვ. ქურდაძე.**

1932 წ. აგვისტოს 3.
ტფილისი.

მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

192. დადგენილება ს.კ.ს

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სარეწაო კოოპერაციის სისტემის რეორგანიზაციისა და სარეწაო და საინვალიდო კოოპერაციის მუშაობის გარდაქმნის შესახებ.

თანახმად სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის ივლისის 23-ის დადგენილებისა „სარეწაო კოოპერაციის მუშაობის და საორგანიზაციო ფორმების გარდაქმნის შესახებ („სსრკ ცენ. აღმ. კ-ტის იზვესტია"-ს 203 №-ი 1932 წ. ივლისის 24-ისა) და 1932 წ. აგვისტოს 17-ის დადგენილებისა—აღნიშნული დადგენილების ინვალიდთა კოოპერაციაზე გავრცელების შესახებ („სსრკ ცენ. აღმ. კ-ტის იზვესტია"-ს 228 №-ი 1932 წ. აგვისტოს 18-ისა) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

I

1. რეორგანიზებულ იქნეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სარეწაო კოოპერაციის სისტემა სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ივლისის 23-ის დადგენილების მე-V კარში აღნიშნულ საფუძვლებზე; ამისდაშესაბამისად:

1) დაწესებულ იქნეს, რომ საქართველოს სსრ-ში სარეწაო კოოპერაციის პირველადი ოპერატიული რგოლეული არის არტელი და საწარმო ან გამსაღებელ-მომმარაგებელი ამხანაგობა;

2) რეორგანიზებულ იქნეს სარეწაო კოოპერაციის რესპუბლიკანური კავშირი—„სარეწაო კავშირი"—და მასთან არსებული სინდიკატური ტიპის სადარგო სამეურნეო-ანგარიშიანი შენაერთები—რესპუბლიკანურ სპეციალიზებულ კავშირებად, რომლებიც არიან სარეწაო კოოპერაციის სისტემის მეორე ოპერატიული რგოლეულები—სათანადო ქვედა ქსელისათვის საორგანიზაციო და სამეურნეო მომსახურეობის გაწევისა (ინსტრუმენტებით, ნედლეულით, დამხმარე მასალებით და სხვა მისთ. მომარაგება) და აგრეთვე სახელმწიფო ორგანოების წინაშე წარმომადგენლობის ფუნქციებით;

3) საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა მოეწყოს სარეწაო კოოპერაციის სპეციალიზებული რესპუბლიკანური კავშირები, რომლებიც გააერთიანებენ არტელებს და ამხანაგობებს შემდეგ რეწაობათა ხაზით: ა) ტყავისა, ბ) ქიმიკურისა, გ) საჭამადოსი, დ) საფეიქროსი, ე) სამთოს და სამშენებლოსი, ვ) ლითონდამუშავებისა, ზ) ტრანსპორტისა და თ) სხვა რეწაობათა ხაზით;

4) საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში სარეწაო კოოპერაციის განვითარების განსაკუთრებული პირობების გამო და აგრეთვე იმის გამო, რომ ამ ჟამად არ არსებობს საკმარისი ეკონომიკური ბაზისი ამ რესპუბლიკებში და ოლქში სარეწაო კოოპერაციის სპეციალიზებული კავშირების შესაქმნელად, საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა აფხაზეთის ავტ. სსრ-ში, აჭარისტანის ავტ. სსრ-ში და სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქში დროებით შენარჩუნებულ იქნეს სარეწაო კოოპერაციის სისტემის მეორე ოპერატიული რგოლეულის სახით მრავალრეწაობიანი (უნიფიცირებული) რესპუბლიკანური და საოლქო კავშირები—სათანადო ქვედა ქსელისათვის საორგანიზაციო და სამეურნეო მომსახურეობის გაწევისა და სახელმწიფო ორგანოების წინაშე წარმომადგენლობის ფუნქციებით;

5) რათა ჩატარებულ იქნეს სარეწაო კოოპერაციის საორგანიზაციო მუშაობა, აღნუსხვა და სადირექტივო და საპერსპექტივო დაგეგმვა და წარმომადგენლობა რესპუბლიკანური ცენტრალური ორგანოების წინაშე (დაკრედიტებისა, მომარაგებისა, უფლებრივი დაცვისა და სხვა ხაზით) დაარსებულ იქნეს სრულიად საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭო (უპერატივო ფუნქციებით), მცირე აპარატით, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული ფუნქციების აღსრულებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

6) სატყეო და ხის დამუშავების რეწაობათა გამაერთიანებელი არტელები და ამხანაგობები გამოყოფილ იქნენ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე კოოპერაციის დამოუკიდებელ სისტემად და შეიქმნას სპეციალიზებული რესპუბლიკანური კავშირი ამ სახის სარეწაო კოოპერაციისა („საქტყერეწკავშირი"), რომელიც შევა სატყეო სარეწაო კოოპერაციის სრულიად საკავშირო შენაერთში („ვსეკოოპრომლესსოიუზ").

7. ლიკვიდირებულ იქნეს სარეწაო კოოპერაციის რესპუბლიკანურ კავშირთან—„სარეწაო კავშირთან"—არსებული სარეწაო კოოპერაციის სისტემის პროდუქციის ვაჭრობის შენაერთი; სარეწაო კოოპერაციის სისტემის საქონლის რეალიზაციისათვის საწარმოო არტელებთან და ამხანაგობებთან დადებული ნებაყოფლობითი სახელშეკრულებო შეთანხმებების საფუძვლებზე—საჭიროდ იქნეს ცნობილი სარეწაო კოოპერაციის სისტემაში რესპუბლიკანური სავაჭრო ორგანიზაციის (ვაჭრობა) შექმნა.

2. ზემოაღნიშნული რეორგანიზაციის განსახორციელებლად მოეწყოს სპეციალური კომისია შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარე, რომელსაც პერსონალურად ჰნიშნავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, და წევრები—შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენელნი: სარეწაო კოოპერაციის რესპუბლიკანური კავშირის—„სარეწაო კავშირის"—გამგეობისა, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა, სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა საქართველოს სსრ-ში, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის სამხარეო კონტორისა.

ამა კარის 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულ რეწაობათა ხაზით მომუშავე ქვედა კოოპერატიული არტელებისა და ამხანაგობების გამაერთიანებელი სარეწაო კოოპერაციის სპეციალიზებული კავშირების მოწყობა დაეკისროს საორგანიზაციო ბიუროებს, რომელთა შედგენილობასაც პერსონალურად დაამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

ამავე საორგანიზაციო ბიუროებს,—სარეწაო კოოპერაციის სათანადო რესპუბლიკანური სპეციალიზებული კავშირების მოწყობისათვის საჭირო სამომზადებლო მუშაობის გარდა (ქვედა ქსელის რწმუნებულთა კრებების მოწვევა, წესდებების შემუშავება და გატარება და სხვა მისთ.),—მიენდოს აგრეთვე, ამ კავშირების უფლებრივად გაფორმების დამთავრებამდე, სარეწაო კოოპერაციის სათანადო ქვედა რგოლეულების მუშაობის ხელმძღვანელობა, დაგეგმვა და მოწესრიგება და ამ სახის კოოპერაციის მეორე რგოლეულის იმ ფუნქციების აღსრულება, რაც გათვალისწინებულია ამა კარის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტით.

აღნიშნული ამოცანების განხორციელებისათვის მიეცეს საორგანიზაციო ბიუროებს იურიდიული პირის უფლებანი და ნება დაერთოს მათ—მიიღონ, მიზნობრივ გამოსაყენებლად, სათანადო საწარმოო ნიშნის მიხედვით ასიგნებული ფულადი თანხები კოოპერატიული სისტემის სახსრიდან, ბიუჯეტიდან და საბანკო კრედიტიდან.

3. წინადადება მიეცეს სარეწაო კოოპერაციის სისტემის სარეორგანიზაციო კომისიას—მოახდინოს ერთი თვის ვადაზე „სარეწაო კავშირის და მასთან არსებული სამეურნეო-ანგარიშიანი შენაერთების სახსრის და ქონების განაწილება, სადარგო საწარმოო ნიშნისა და სათანადო ფუნქციების გადაცემის ნიშნების მიხედვით, სპეციალიზებული კავშირების საორგანიზაციო ბიუროებსა და სრულიად საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭოს შორის 1932 წლის სექტემბრის 1-ლის ბალანსით, და ამ სახსრის და ქონების გადაცემა აღნიშნული ორგანოებისათვის კუთვნილებისამებრ.

ზემოაღნიშნული ფასეულობისა და ქონების განაწილება უნდა მოხდეს სარეწაო კოოპერაციის დებულების მე-X კარით გათვალისწინებული წესების შესაბამისად (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-10 №-ი, მუხ. 78) და, შემდგომ, ამ საკითხის შესახებ გამოტანილი დადგენილებანი უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად სარეწაო კოოპერაციის ქვედა ქსელის რწმუნებულთა კრებებს, რომლებიც მოიწვევა სპეციალიზებული კავშირების დასაარსებლად.

II

ზემოაღნიშნული საერთო-საკავშირო კანონის იმ დირექტივების შესაბამისად, რაც ეხება კოოპერირებული მასების საწარმოო ინიციატივის შემდგომ გაშლას და სარეწაო და საინვალიდო კოოპერაციის სისტემებში ფართო მოხმარების საგნების წარმოების (განსაკუთრებით ადგილობრივი უდეფიციტო ნედლეულიდან) გადიდებას, სარეწაო და საინვალიდო კოოპერაციის სისტემის მუშაობა გარდაიქმნას შემდეგ საფუძვლებზე:

ა. ნედლეულისა და წარმოების მასალის დამზადების სფეროში:

1. ნება მიეცეს სარეწაო და საინვალიდო კოოპერაციის ორგანიზაციებს დაამზადონ ყველგან დაუბრკოლებლად თავიანთი წარმოების საჭიროებისათვის სხვადასხვა სახის ნედლეული, გარდა ბამბისა, სელისა, ქერელისა, მატყლისა, აბრეშუმის პარკისა და ტყავისა.

შენიშვნა. ბამბისა, სელისა, ქერელისა, მატყლისა, აბრეშუმის პარკისა და ტყავის დამზადების ნებართვა შეიძლება მიეცეს სარეწაო და საინვალიდო კოოპერაციის ორგანიზაციებს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის სპეციალური დადგენილებით—დამზადებისათვის სათანადო რაიონების მიჩენით. ღორის ტყავის დამზადება ნებადართულია ყველგან.

2. ნება მიეცეს სარეწაო და საინვალიდო კოოპერაციის ორგანიზაციებს დაამზადონ ყველგან ყოველგვარი უტილი, ნარჩენი და გადანაყარი.

შენიშვნა. სარეწაო და საინვალიდო კოოპერაციის ორგანიზაციების მიერ შეგროვილი უტილი, ნარჩენი და გადანაყარი გადამუშავდება ამ სისტემის შიგნითვე. უტილის, ნარჩენის და გადანაყარის შემგროვებელ სახელმწიფო ორგანიზაციებს უნდა გადაეცეს ამ პროდუქციის მხოლოდ ის

ნაწილი, რაც არ გამოიყენება სარეწაო და საინვალიდო კოოპერაციის სისტემაში.

3. ნება დაერთოს სარეწაო კოოპერაციისა და საინვალიდო კოოპერაციის ორგანიზაციებს—შეისყიდონ სახელმწიფო საწარმოებში (ფაბრიკებში, ქარხნებში) გადასამუშავებლად ვარგისი ნარჩენი (ლითონი, საფეიქრო ნარჩენი, ნაკუწები, ბრაკი, ხე-ტყის ნარჩენი) სპეციალური ხელშეკრულებების დადებით როგორც ტრესტებთან, ისე ქარხნების მმართველობებთან.

ბ. პროდუქციის გასაღების სფეროში:

1. ნება დაერთოს სარეწაო და საინვალიდო კოოპერაციის სისტემის არტელებს (ამხანაგობებს) უშუალოდ ჰყიდონ მათ მიერ დანამზადი ნედლეულისაგან გაკეთებული პროდუქცია ბაზარში და აგრეთვე მიჰყიდონ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს.

2. აქამდე მომქმედი ცენტრალიზებული სავალდებულო შეკვეთების სისტემის ნაცვლად, ნება დაერთოს სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს და საწარმოთ გადასცენ ხოლმე თავიანთი შეკვეთები, რაც მუშტრის ნედლეულისაგან მზადდება, სარეწაო-კოოპერატიულ არტელებს (აბხანაგობებს) უშუალოდ, ან მათი გამაერთიანებელი სპეციალიზებული კავშირების მეშვეობით—სანებაყოფლო ორმხრივი სამეურნეო შეთანხმებების წესისამებრ.

3. დაწესებულ იქნეს, რომ სარეწაო და საინვალიდო კოოპერაციის არტელების (ამხანაგობების) მიერ სახელმწიფო ფონდებიდან მიცემული ნედლეულისაგან ფართო ბაზრისათვის დამზადებული პროდუქცია ამ არტელებმა (ამხანაგობებმა) ან მათმა კავშირებმა უნდა მიჰყიდონ სათანადო სახელმწიფო ან კოოპერატიულ მოვაჭრე ორგანიზაციებს.

რათა ამ არტელებმა (ამხანაგობებმა) წარმატებით და საჩქაროდ შეასრულონ შეკვეთები, სახელმწიფო და კოოპერატიულ მოვაჭრე ორგანიზაციებს ნება ეძლევათ ხელშეკრულებების დადების დროს გაითვალისწინონ პროდუქციის ზოგი რამ პროცენტის დატოვება სათანადო არტელის (ამხანაგობის) განკარგულებაში მისი სურვილისამებრ გაყიდვისათვის.

გ. პროდუქციის ფასების დადგენის სფეროში:

1. ნება დართულ იქნეს სარეწაო და საინვალიდო კოოპერაციის ორგანიზაციების მიერ საკუთარი დამზადების წესით მოპოებული ნედლეულისაგან დამუშავებული ფართო მოხმარების საქონლის რეალიზაცია ბაზარზე შექმნილ ფასად.

შენიშვნა. სარეწაო და საინვალიდო კოოპერაციის კავშირების მაღაზიებში და აგრეთვე სარეწაო კოოპერაციის სისტემაში მყოფი სავაჭრო ორგანიზაციის მაღაზიებში (ამა დადგენილების 1-ლი კარის 1-ლი მუხლის მე-7 პუნქტი) საქონლის რეალიზაცია მოხდება არა უმეტეს ვიდრე საშუალო-კომერციულ ფასად.

2. სარეწაო და საინვალიდო კოოპერაციის არტელების (ამხანაგობების) მიერ, შეკვეთის წესით, სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის, სახელმწიფო ფასით მიღებული ნედლეულისაგან დამზადებული პროდუქციის ფასი განსაზღვრულ უნდა იქნეს შემკვეთთან დადებულ სათანადო ხელშეკრულებაში.

იმავე არტელების (ამხანაგობების) მიერ საგეგმო წესით მიღებული ნედლეულისაგან დამზადებული პროდუქციის ფასს განსაზღვრავს სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის მოწესრიგების კომიტეტის რწმუნებული საქართველოს სსრ-ში ან, მისი მინდობილობით, სათანადო სახალხო კომისარიატი.

დ. დაფინანსებისა და კრედიტის სფეროში:

1. დაწესებულ იქნეს, რომ სარეწაო და საინვალიდო კოოპერაციის არტელს (ამხანაგობას) შეუძლიან დამოუკიდებლად განკარგოს თავისი საბრუნავი სახსარი და ქონება.

2. დეცენტრალიზებული წესით გასაცემი საბანკო კრედიტი ბანკის ადგილობრივმა ფილიალმა უნდა გაუხსნან უშუალოდ არტელს, ამხანაგობას ან კავშირს.

3. აქამდე მომქმედი წესი, რომელიც ეხება სავალდებულო ანარიცხების გადადებას ზემდგომი რგოლეულების შენახვისა და ყოველგვარი კულტურული და საერთო-კოოპერატიული ღონისძიებისათვის, გაუქმდეს და შემოღებულ იქნეს ანარიცხები აღნიშნული საჭიროებისათვის სარეწაო და საინვალიდო კოოპერაციის ქვედა რგოლეულების სახსრიდან მხოლოდ ისეთი რაოდენობით, რასაც განსაზღვრავენ ამ ორგანიზაციების რწმუნებულთა კრებები.

შენიშვნა. სარეწაო კოოპერაციის სისტემის სპეციალიზებული კავშირების დასაარსებლად რწმუნებულთა კრებების მოწვევამდე შეიძლება გადახდევინებულ იქნეს 1932 წლისათვის დაწესებული ანარიცხები კულტურული ფონდისა და კაპიტალური მშენებლობის ფონდისათვის და აგრეთვე ანარიცხები ზემდგომი რგოლეულების შესანახად.

4. დაწესებულ იქნეს, რომ სარეწაო და საინვალიდო კოოპერაციის ყველა ზემდგომი რგოლეული მოვალეა ანგარიში აგოს ამ კოოპერაციის ქვედა რგოლეულების წინაშე არა მარტო რწმუნებულთა მორიგ ყრილობებზე და საერთო კრებებზე, არამედ აგრეთვე ყოველთვიური და ნახევარწლიური ანგარიშების წარდგენის წესით.

ასევე ანგარიშგებავალდებულ არიან ამა დადგენილების I-ლი კარის მე-2 მუხლში აღნიშნული საორგანიზაციო ბიუროები სარეწაო კოოპერაციის სათანადო სპეციალიზებული კავშირების საბოლოო გაფორმებამდე.

5. ნებადართულ იქნეს, სახელმწიფო ბანკის კონტროლის ქვეშ, სარეწაო და საინვალიდო კოოპერაციის ორგანიზაციების ავანსირება შემკვეთთა მიერ (სახელმწიფო მრეწველობა, სახელმწიფო ვაჭრობა და კოოპერაცია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

III

1. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და ქალაქის საბჭოებს და აგრეთვე სარეწაო და საინვალიდო კოოპერაციის ხელმძღვანელ ორგანოებს—იხმარონ ღონისძიებანი შინამრეწველობის პროდუქციის კერძო მოვაჭრეთა და სპეკულანტ-შემსყიდველთა აღმოსაფხვრელად და აწარმოონ მკვეთრი ბრძოლა აღნიშნული სახის კოოპერაციის ცალკეულ რგოლეულებში სპეკულაციასთან.

წინადადება მიეცეს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს და სახელმწიფო პროკურატურის ორგანოებს—პასუხისგებაში აძლიონ ყველა ის პირი, ვინც შემჩნეულ იქნება შინამრეწველობის პროდუქციის სპეკულაციაში, და შეუფარდონ მას სოციალური დაცვის ღონისძიება, რაც გათვალისწინებულია სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აგვისტოს 22-ის დადგენილებაში „სპეკულაციასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“.

2. წინადადება მიეცეს სარეწაო და საინვალიდო კოოპერაციის მუშაობის მგეგმავ ორგანოებს—ისე დაგეგმონ ამ სახის კოოპერაციის წარმოება, რომ პირველ რიგში უზრუნველყოფილ იქნეს ფართო მოხმარების საქონლის წარმოება (განსაკუთრებით გლეხობაში სახმარი საქონლისა) და ყველა ამ საქონლის ხვედრითი წონა 1933 წელს მიღწევინებულ იქნეს სარეწაო და საინვალიდო კოოპერაციის მთელი პროდუქციის 70%-დე.

3. აიკრძალოს სარეწაო და საინვალიდო კოოპერაციის ორგანიზაციებისათვის იმ მიწის ნაკვეთების ჩამორთმევა, რაც მიკუთვნებული აქვთ მათ არსებული წესისამებრ სარგებლობისათვის, და აგრეთვე იმ სადგომების ჩამორთმევა, რასაც ისინი იყენებენ საკუთრების უფლებისა და იჯარის საფუძველზე საწარმოო და სავაჭრო მიზნებისათვის.

წინადადება მიეცეს ყველა სახალხო კომისარიატს და ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოს—შეუფარდოს სავსებით სარეწაო და საინვალიდო კოოპერაციის ორგანიზაციებს და აგრეთვე ამ ორგანიზაციების წევრებს კანონით დადგენილი ყველა შეღავათი გადასახადებისა, საცხოვრებელი ფართობის ქირის და კომუნალური მომსახურეობისა, სურსათით და სამრეწველო საქონლით მომარაგებისა, სასწავლებლებში შესვლისა და სხვა მისთ. სფეროში.

მიენდოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებს—იქონიონ მუდმივი მეთვალყურეობა ამა დადგენილების აღსრულებისათვის, ხოლო სახელმწიფო პროკურატურის ორგანოებს—პასუხისგებაში აძლიონ სადისციპლინო და სისხლის სამართლის წესით ის დანაშავენი, ვინც ამა დადგენილებას დაარღვევს.

IV

1. I-ლი კარი და მე-II კარის მე-2 მუხლი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 23-ის დადგენილებისა „საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერიტორიაზე სარეწაო კოოპერაციის ორგანიზაციის ფორმების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-14 №-ი, მუხ. 118) ჩაითვალოს ძალადაკარგულად.

2. მე-3 მუხლი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ოქტომბრის 7-ის დადგენილებისა „საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან სარეწაო კოოპერაციისა და შინამრეწველობის კომიტეტის მოწყობის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-20 №-ი, მუხ. 308 და 1932 წ. მე-14 №-ი, მუხ. 118) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„3. სარეწაო კოოპერაციისა და შინამრეწველობის კომიტეტი მოქმედობს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილის თავმჯდომარეობით და შესდგება: საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა საქართველოს სსრ-ში, სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა საქართველოს სსრ-ში, საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატისა, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატისა, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, სრულიად საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭოსი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების ცენტრალური კავშირისა (საქართველოს საკოლმეურნეო ცენტრისა) და სარეწაო კოოპერაციის სრულიად საქართველოს საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების სალაროების კავშირის მუდმივი პასუხისმგებელი წარმომადგენლებისაგან. კომიტეტის შედგენილობას ამტკიცებს საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭო“.

3. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობას—შეიმუშაოს, დაინტერესებულ უწყებებთან და ორგანიზაციებთან ერთად, პროექტი დადგენილებისა იმ ცვლილებათა შესახებ, რაც შეტანილ უნდა იქნეს საქართველოს სსრ კანონმდებლობაში სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს—ზემოაღნიშნული, 1932 წ. ივლისის 23-ისა და აგვისტოს 17-ის, დადგენილებებთან დაკავშირებით, და ეს პროექტი ორი თვის ვადაზე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. აგვისტოს 23.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 202 №-ში 1932 წ. აგვისტოს 30.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშენებლობა

193. დადგენილება ს.კ.ს.

1932 წელს სარეწაო სამშენებლო კოოპერაციის ორგანიზაციებისათვის ავანსების მიცემის შესახებ.

„1932 წელს სარეწაო სამშენებლო კოოპერაციის ორგანიზაციებისათვის ავანსების მიცემის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 16-ის დადგენილებისა (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 37 №-ი, მუხ. 227) და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სათანადო—1932 წ. ივნისის 23-ის—დიდგენილების (ოქმი № 16, § 2) შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. უფლება მიეცეს რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე ორგანიზაციებს, საწარმოთ და შენაერთებს—აძლიონ 1932 წელს სარეწაო სამშენებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს ამ უკანასკნელების მიერ წარმოებული სამუშაოების ხაზით ავანსები შესასრულებელი მშენებლობის ღირებულების 10%-ის რაოდენობით.

2. სარეწაო სამშენებლო კოოპერატიული ორგანიზაციის მიერ დამკვეთისაგან მიღებული ავანსი უნდა დაიფაროს თვითეული ანგარიშის თანხის 5%-ის დაჭერით საშუალედო ანგარიშგასწორებისას შესრულებული სამუშაოებისა და დახარჯული მასალისათვის, ხოლო დანარჩენი ნაწილი დაიფარება ანგარიშის საბოლოოდ გასწორების დროს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. აგვისტოს 10

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 201 №-ში 1932 წ. აგვისტოს 29.

ვაჭრობა. მომარაგება

194. დადგენილება ს.კ.ს.

სახაქონლო ფონდების და ვაჭრობის რეგულირების კომიტეტის რწმუნებულთან საქართველოს სსრ-ში საასორტიმენტო ბიუროს მოწყობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ფართო მოხმარების საქონლის ასორტიმენტის შესწავლისა და ამ საქონლის მწარმოებელი ორგანიზაციების და საქონელგამტარებელი ქსელის მუშაობის დაკავშირებისათვის აღნიშნული ასორტიმენტის გაუმჯობესებისა, გაფართოებისა და ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის საჭიროებათათვის შეფარდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ხაზით—სასაქონლო ფონდების და ვაჭრობის რეგულირების კომიტეტის რწმუნებულთან საქართველოს სსრ-ში მოეწყოს, საუწყებათაშორისო სათათბირო ორგანოს სახით, საასორტიმენტო ბიურო.

2. საასორტიმენტო ბიურო მოქმედობს სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის რეგულირების კომიტეტის რწმუნებულის (საქართველოს სსრ-ში) მიერ დანიშნული პირის თავმჯდომარეობით; ბიუროში შედიან: საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობისა, მომარაგებისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებისა, მძიმე მრეწველობისა და სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატების რწმუნებულებისა საქართველოს სსრ-ში, სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირის—„ცეკავშირისა", სარეწაო კოოპერაციის კავშირის—„სარეწაო კავშირისა" (ხოლო მისი რეორგანიზაციის შემდეგ—ამ სახის კოოპერაციის სათანადო რესპუბლიკანური ცენტრისა), საქვაჭრობისა და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს პასუხისმგებელი წარმომადგენელნი.

3. საასორტიმენტო ბიუროს გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) შეისწავლოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე რესპუბლიკანური და ადგილობრივი მრეწველობისა, შინამრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოთა და აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის წარმოებითი ხასიათის საწარმოთა მიერ და განსაზოგადოებული სექტორის სხვა ორგანიზაციების მიერ გამოსაშვები ფართო მოხმარების პროდუქციის ასორტიმენტი;

ბ) შეისწავლოს საქართველოს სსრ-ში განსაზოგადოებული სექტორის საბითუმო ორგანიზაციების მიერ შემოზიდული ფართო მოხმარების საქონლის ასორტიმენტი;

გ) გამოარკვიოს ფართო მოხმარების საქონლის ასორტიმენტის სტრუქტურა ცალობითი ვაჭრობის მწარმოებელ ყველა ორგანიზაციაში;

დ) გამოარკვიოს ფართო მოხმარების საქონლისადმი ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილების სტრუქტურა და ამ სტრუქტურის ცვალებადობა;

ე) მოაწესრიგოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განსაზოგადოებული სექტორის ორგანიზაციების მიერ გამოსაშვები ფართო მოხმარების პროდუქციის ასორტიმენტი შემოზიდული საქონლის ასორტიმენტისა და მომხმარებლის მოთხოვნილების შესაბამისად;

ვ) დაამყაროს ცალობითი ვაჭრობის ასორტიმენტი მოსახლეობის მოთხოვნილებისა და კეთილმდგომარეობის დონის თანდათანობითი ამაღლების შესაბამისად;

ზ) შეიმუშაოს ღონისძიებანი როგორც საქართველოს სსრ-ში ნაწარმოები, ისე შემოზიდული ფართო მოხმარების საქონლის ასორტიმენტის გადიდებისა და გაუმჯობესებისათვის;

თ) მოაწესრიგოს უწყებებისა და ორგანიზაციების ურთიერთობისა და მუშაობის დაკავშირების ძირითადი საკითხები ფართო მოხმარების საქონლის ასორტიმენტისა და მისი შესწავლის ხაზით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დაკისრებული ამოცანების განხორციელებისათვის საასორტიმენტო ბიუროს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს ყველა უწყებას და ორგანიზაციას საჭირო მასალა და ცნობები და აგრეთვე პასუხისმგებელ წარმომადგენელთა და სპეციალისტთა მივლინება საკითხების განხილვაში მონაწილეობისათვის;

ბ) შეამოწმოს უწყებებისა და ორგანიზაციების სათანადო მუშაობა;

გ) მისცეს უწყებებსა და ორგანიზაციებს სათანადო დავალებანი და განსაზღვროს ვადები ამ დავალებათა აღსრულებისათვის.

5. საასორტიმენტო ბიურო იხილავს თავისი კომპეტენციის საკითხებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ეკონომური საბჭოს და სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის რეგულირების კომიტეტის რწმუნებულის (საქართველოს სსრ-ში) დავალებებით, საკუთარი ინიციატივით და აგრეთვე იმ უწყებებისა და ორგანიზაციების წარდგინებით, რომელთაც ბიუროს შედგენილობაში ჰყავთ თავიანთი წარმომადგენელნი.

საასორტიმენტო ბიუროს დადგენილებები ძალაში შედის და სავალდებულოა ყველა უწყებისა და ორგანიზაციისათვის მის შემდეგ, რაც ამ დადგენილებებს დაამტკიცებს სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის რეგულირების კომიტეტის რწმუნებული საქართველოს სსრ-ში.

6. საასორტიმენტო ბიუროს მომსახურეობას უწევენ სათანადო უწყებებისა და ორგანიზაციების აპარატები.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. აგვისტოს 10.
ტფილისი.

---

195. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის მოწესრიგების მუდმივი კომისიის დაარსების შესახებ.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ფართო მოხმარების სასაქონლო ფონდების განსაზღვრისა და გამოყენების სფეროში სათანადო უწყებებისა, დაწესებულებების და ორგანიზაციების მუშაობის შეთანხმებისა, ვაჭრობის მოწესრიგებისა და შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სასაქონლო ფონდების და ვაჭრობის მოწესრიგების კომიტეტის დირექტივების და დავალებების შესაბამისად ფასების საბჭოთა პოლიტიკის განხორციელების მიზნით—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაარსებულ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის მოწესრიგებისათვის მუდმივი მომქმედი კომისია სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის მოწესრიგების კომიტეტის რწმუნებულის (საქართველოს სსრ-ში) თავმჯდომარეობით და იმ პირთა შედგენილო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით, რომელთაც საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო პერსონალურად დანიშნავს დაინტერესებული უწყებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელი პერსონალიდან.

2. აღნიშნული კომისიის გამგებლობის საგნებს მიეკუთვნოს შემდეგი საკითხები:

ა) ადგილობრივი ფართო მოხმარების სასაქონლო ფონდების განსაზღვრა და შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის მოწესრიგების კომიტეტის მიერ გამოყოფილი სასაქონლო ფონდების განაწილება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ადმინისტრატიულ-ტერიტორიალურ ერთეულებსა და საქონელგამტარებელ სისტემებს შორის;

ბ) საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ფართო მოხმარების საქონლის მიწოდებისა და სასაქონლო ფონდების გამოყენების გეგმების აღსრულების შემოწმება;

გ) საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ვაჭრობის მოწყობისა და მოწესრიგების საკითხების გადაწყვეტა—სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის მოწესრიგების კომიტეტის დირექტივებისა და საერთო გეზის შესაბამისად;

დ) საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ფართო მოხმარების საქონლის გასაცემი ბითუმი და ცალობითი ფასების მოწესრიგება ზემოაღნიშნული კომიტეტის გადაწყვეტილებებისა და დირექტივების საფუძველზე.

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის მოწესრიგების კომისია იხილავს მისი კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებს სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის მოწესრიგების კომიტეტის რწმუნებულის (საქართველოს სსრ-ში) წინადადებებისა და უწყებებისა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოხსენებების თანახმად და საკუთარი ინიციატივით.

უწყებები, დაწესებულებები და ორგანიზაციები მოვალენი არიან შეიტანონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის მოწესრიგების კომისიაში ყველა ის საკითხი, რაც მიკუთვნებულია ამ კომისიის კომპეტენციისათვის.

სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის მოწესრიგების კომისია ანხორციელებს თავის მუშაობას სათანადო უწყებებისა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მეშვეობით, რომელთაც ანდობს ცალკეული საკითხების დამუშავებას და საჭირო მასალებისა და ცნობების წარდგენას.

4. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის მოწესრიგების კომისიის დადგენილებანი სავალდებულოა ყველა უწყებისა, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის.

იმ უწყებას, დაწესებულებას, ორგანიზაციას და პირის, რომელსაც უფლება აქვს შეიტანოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში საკითხები, შეუძლიან განაპროტესტოს აღნიშნული კომისიის ესა თუ ის დადგენილება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში—ისე-კი, რომ არ შეაჩეროს კომისის დადგენილების აღსრულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის მოწესრიგების კომიტეტის რწმუნებულს (საქართველოს სსრ-ში) უფლება აქვს შეაჩეროს ზემოაღნიშნული კომისიის დადგენილების აღსრულება, უკეთუ იგი ეწინააღმდეგება კანონს და აგრეთვე შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის მოწესრიგების კომიტეტის დირექტივებს და დავალებებს, და საკითხი გადასაწყვეტად გადაიტანოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში.

5. სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის მოწესრიგების კომიტეტის რწმუნებულის (საქართველოს სსრ-ში) სამმართველო და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 23-ის დადგენილება ამ სამმართველოს დაარსების შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-13 №-ი, მუხ. 98) გაუქმებულ იქნეს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. აგვისტოს 23.

ტფილისი.

---

196. დადგენილება ს.კ.ს.

შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულის სამმართველოს დაარსების შესახებ.

„დამზადებელი აპარატის რეორგანიზაციის თაობაზე“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის თებერვლის 13-ის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1932 წ. მე- 10-№-ი, მუხ. 53) მე-13 მუხლისა და „ა/კსფსრ-ში დამზადებელი სისტემის რეორგანიზაციის შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის მარტის 7-ის დადგენილების (ა/კსფსრ-ის კან. კრ. 1932 წ. მე-6 №-ი, მუხ. 48) 1-ლი მუხლის შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. დაარსდეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულის სამმართველო, რომელიც იმოქმედებს აღნიშნული კომიტეტისა და ა/კსფსრ-ში მისი რწმუნებულის სამმართველოს ხელმძღვანელობით და დირექტივებით.

II. დროებით, ვიდრე საერთო-საკავშირო კანონმდებლობის წესით განსაზღვრულ იქნებოდეს გამგებლობის საგანი და უფლება-მოვალეობანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულებისა რესპუბლიკებში, მხარეებში და ოლქებში, 1-ლი მუხლით გათვალისწინებული სამმართველოს ფუნქციებს მიეკუთვნოს შემდეგი საკითხები:

1) საქართველოს სსრ ტერიტორიაზე პურ-ფურაჟის კულტურების, ზეთოვანი მარცვლეულის და ბამბის კონტრაქტაციისა და დამზადების რეგულირება და ხელმძღვანელობა, რაც განხორციელდება საერთო-საკავშირო დამზადებელი ორგანიზაციების—„ზაგოტზერნო“-ს და „ზაგოტხლოპოკ“-ის—იმ ორგანოების მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვეობით, რომელნიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს ექვემდებარებიან;

2) სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების კონტრაქტაციისა და დამზადების საერთო ხელმძღვანელობა და საერთო რეგულირება სათანადო სახალხო კომისარიატების და ცენტრალური რესპუბლიკანური ორგანიზაციების მეშვეობით;

3) დამზადებათა კომიტეტში პურის, საფურაჟე კულტურების, ზეთოვანი მარცვლეულის, ბამბის და ფრინველთა პროდუქტების კოტნრაქტაციისა და დამზადების საკონტროლო ციფრების წარდგენა;

4) დამზადებათა კომიტეტში სადამზადებლო ფასებისა, მიმოქცევის ხარჯების რაოდენობისა, კონტრაქტაციისათვის ფულადი და სხვაგვარი ავანსების რაოდენობისა და აღნიშნული კომიტეტის კომპეტენციის სხვა საკითხების შესახებ წინადადებებისა და დასკვნების წარდგენა;

5) რესპუბლიკანური გეგმის საფუძველზე კონტრაქტაციის და დამზადების საკალენდრო გეგმების დამტკიცება რაიონებისა, სოციალისტური სექტორებისა და დამმზადებლების მიხედვით;

6) ცალკეული რაიონებისათვის სადამზადებლო ფასებისა, მიმოქცევის ხარჯის ნორმებისა, ფულადი და სხვაგვარი ავანსების რაოდენობისა და დამზადებათა სტიმულირების ფორმების და ოდენობის დამტკიცება, უკეთუ დიფერენციაცია რაიონების მიხედვით გათვალისწინებულია დამზადებათა კომიტეტის ან მთავრობის უმაღლესი ორგანოების დადგენილებებით;

7) იმ პროდუქტების კონტრაქტაციის და დამზადების დარაიონებისა და ხვედრითი წონის განსაზღვრის პრინციპების დადგენა, რომელთა დამზადების უფლება აქვს რამდენსამე დამმზადებელს, აგრეთვე დეცენტრალიზებულ დამზადებათა გაძლიერების საკითხების დამუშავება;

8) კონტროლის გაწევა დამმზადებელი ორგანოების მუშაობისათვის და იმის შემოწმება, თუ რამდენად უზრუნველყოფილია კონტრაქტაციის და დამზადების გეგმების შესრულება;

9) მონაწილეობა მოსავლიანობის განმსაზღვრელ საექსპერტო კომისიებში;

10) შემოწმება იმისა, თუ რამდენად უზრუნველყოფილი არიან დამმზადებელნი ტარით და საწყობებით და რა მდგომარეობაშია ეს ტარა და საწყობები;

11) დამზადებული პროდუქციის გადაზიდვის საქმის დაგეგმვა;

12) გადაწყვეტა ზემოაღნიშნული ფუნქციების ფარგლებში ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული დამზადების ხაზით აღძრული დავისა და კონფლიქტისა და აგრეთვე გადაწყვეტა სამეურნეო შენაერთებსა და უწყებებს შორის კონტრაქტაციის და დამზადების ნიადაგზე აღძრული სადაო საკითხებისა;

13) სათანადო კადრების მომზადებისა და გადამზადების გეგმების დამუშავება და დამტკიცება;

14) სათანადო სამეურნეო ორგანიზაციებში კონტრაქტციის და დამზადების ხაზით აღნუსხვისა და ანგარიშგების საქმის დაყენების შემოწმება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

15) დასკვნის მიცემა საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის თესვის გეგმების შესახებ;

16) დამზადებათა კომიტეტის ცალკეულ მინდობილობათა და დავალებათა შესრულება;

17) შემოწმება იმისა, თუ რამდენად ასრულებენ უწყებები და სამეურნეო ორგანიზაციები დამზადებათა კომიტეტისა და მთავრობის ორგანოების დადგენილებებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების კონტრაქტაციის და დამზადების საკითხების შესახებ.

III. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულის (საქართველოს სსრ-ში) დადგენილება, გადაწყვეტილება და განკარგულება მე-11 მუხლში აღნიშნული საკითხების შესახებ, სავალდებულოა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მომქმედი ყველა ცენტრალური და ადგილობრივი დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის.

ეს დადგენილება, გადაწყვეტილება და განკარგულება შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს საერთოდ დადგენილი წესისამებრ, ხოლო განსაჩივრება მათ შესრულებას ვერ შეაჩერებს.

IV. საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქებში და აგრეთვე რაიონებში დამზადებათა კომიტეტის ადგილობრივი ორგანოები არ მოეწყობა.

დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულის დადგენილებათა და განკარგულებათა შესრულება დაეკისრება: ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში—ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ერთ-ერთ მოადგილეს, ხოლო რაიონებში—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს.

V. დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულის სამმართველოს სტრუქტურა და შტატი დამტკიცდება საერთოდ დადგენილი წესისამებრ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. აგვისტოს 10.

ტფილისი.

---

197. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ-ში 1932 წლის მოსავლის თამბაქოს ვადამდე დამზადების შესახებ.

იმ მიზნით, რომ თამბაქოს მრეწველობა უზრუნველყოფილ იქნეს თამბაქოს ნედლეულით 1932 წლის IV კვარტალში, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს თამბაქოს ვადამდე დამზადების გეგმა 265 ტონის რაოდენობით; ეს რაოდენობა რაიონების მიხედვით განაწილდეს შემდეგნაირად:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზუგდიდის საბჭოთა მეურნეობა—5 ტონა, ლაგოდეხის რაიონი—145 ტონა, სენაკის რაიონი—20 ტონა, ყვარელის რაიონი—10 ტონა, აჭარისტანი—25 ტონა, ჩოხატაურის რაიონი—25 ტონა, ზუგდიდის რაიონი—8 ტონა, წალენჯიხის რაიონი—7 ტონა, ჩხოროწყუს რაიონი—6 ტონა, ტოლოშის რაიონი—8 ტონა, და ახალციხის რაიონი—6 ტონა.

შენიშვნა. აფხაზეთში თამბაქოს ვადამდე დამზადება არ სწარმოებს.

2. ვადამდე დამზადებულ ინდა იქნეს მხოლოდ „დიპსარის" შეტეხვის თამბაქო.

3. თამბაქოს ვადამდე დამზადება დაწყებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს აგვისტოს 25-ისა, ხოლო სადამზადებლო კამპანია უნდა დამთავრდეს ოქტომბრის 1-სათვის.

4. თამბაქოს ვადამდე დამზადების დაწესებული კონტინგენტიდან აგვისტოში დამზადებულ უნდა იქნეს 5% და სექტემბერში—95%.

5. მთლად თამბაქოს ნედლეულის ერთიან დამმზადებლად ყველა სექტორში ცნობილ იქნეს „საქართველოს თამბაქოს" სისტემა.

6. 1932 წლის მოსავლის თამბაქოს ვადამდე დამზადება მოხდება სსრ კავშირის მომარაგების სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული ფასების მიხედვით.

ვადამდე დამზადების წესით ჩაბარებული თამბაქოსათვის დაწესებულ იქნეს წანამატი: სექტემბრის 15-მდე ჩაბარებული თამბაქოსათვის—დაწესებული ფასის 10%-ის რაოდენობით, ხოლო სექტემბრის 15-დან ოქტომბრის 1-მდე დამზადებული თამბაქოსათვის-5%-ის რაოდენობით.

შენიშვნა. ეს წანამატი არ გავრცელდება კულაკურ-შეძლებულ მეურნეობებზე, რომელნიც თამბაქოს მტკიცე დავალების წესით აბარებენ.

7. ვადამდე დამზადების წესით ჩაბარებული თამბაქოსათვის ანგარიშის გასწორების დროს კონტრაქტანტს არ უნდა დაეჭიროს არავითარი თანხა საკონტრაქტაციო ავანსის დავალიანების დასაფარავად.

8. თამბაქოს ვადამდე დამზადების გეგმების დროული რაოდენობითი და თვისებითი შესრულებისა და გადამეტებით განხოციელებისათვის რაიონების, კოლმეურნეობების და ცალკეული მომუშავეების დასაპრემირებლად, წინადადება მიეცეს „საქართველოს თამბაქოს" ხუთი დღის ვადაზე გამოყოს საპრემიო ფონდი, აგრეთვე განსაზღვროს პრემიის მიცემის წესი და დაუყოვნებლივ დაიყვანოს ეს წესი დამზადების რაიონებამდე.

9. წინადადება მიეცეს „საქართველოს თამბაქოს", მეთამბაქოობის კოლმეურნ-ცენტრთან და საქართველოს ტრაქტორცენტრთან ერთად, 3 დღის ვადაზე შეიმუშაოს და გაუგზავნოს ადგილებს ინსტრუქცია ვადამდე დამზადებული თამბაქოს დამუშავების შესახებ, სათანადო ლონისძიებებით, რაც უზრუნველყოფს თამბაქოს მიღებას სტანდარტის შესაბამისად.

10. წინადადება მიეცეს ცეკავშირს გააძლიეროს გამოყოფილი სამრეწველო საქონლის ფონდების გაგზავნა მეთამბაქოობის რაიონში იმ ანგარიშით, რომ ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფონდები ფაქტიურად მიღებულ იქნეს რაიონებში დამზადების პერიოდისათვის (სექტემბერი).

11. წინადადება მიეცეს „საქართველოს თამბაქოს“ გაანაწილოს ვადამდე დამზადების გეგმა ცალკეული სექტორების მიხედვით, თამბაქოს ფართობის გაზომვის შედეგების საფუძველზე, და ტელეგრაფით მიაწოდოს ეს გეგმები ადგილებს არა უგვიანეს ა/წ. აგვისტოს 18-ისა.

12. წინადადება მიეცეს აჭარისტანის ავტ. სსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და მეთამბაქოობის რაიონების აღმასრულებელ კომიტეტებს 5 დღის ვადაზე დაიყვანონ ვადამდე დამზადების გეგმები კოლმეურნეობებამდე და სოფლებამდე და აგრეთვე მტკიცე დავალებანი—კულაკურ-შეძლებულ მეურნეობებამდე.

13. წინადადება მიეცეს „საქართველოს თამბაქოს“ მოაწყოს დამზადების რაიონებიდან ხუთდღიური ჯუმლების მიღება სექტორების მიხედვით დამზადების მსვლელობის შესახებ და უზრუნველყოს ამ ჯუმლების წარდგენა სათანადო ორგანიზაციებისათვის.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. აგვისტოს 15.

ტფილისი.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

198. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის დებულების მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ.

სსრკ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული კომუნალური მეურნეობის სრულიად საკავშირო საბჭოს დებულების გამოცემასთან დაკავშირებით (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 67 №-ი, მუხ. 443 და 444) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. სექტემბრის 17-ის დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის დებულების მე-2 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. 22 №-ი, მუხ. 213) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი, ექვემდებარება-რა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიურ საბჭოს, ანხორციელებს თავისი მოქმედებით აგრეთვე სსრკ-ის ცენტრალურ აღმასრულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელ კომიტეტთან არსებული კომუნალური მეურნეობის სრულიად საკავშირო საბჭოს და ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის დირექტივებს".

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მ.დ.ა. **გ. კუჭაიძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მ.დ.ა. **ვ. ქურდაძე.**

1932 წ. აგვისტოს 22.
ტფილისი.

---

199. დადგენილება ს.კ.ს.

კომუნალურ საწარმოთა და ქალაქის კეთილმოწყობის აღწერის ჩატარების შესახებ.

„კომუნალურ საწარმოთა და ქალაქის კეთილმოწყობის სრულიად საკავშირო აღწერის ჩატარების შესახებ" გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. ივნისის 19-ის დადგენილებისა (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 49 №-ი, მუხ. 294) და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სათანადო—1932 წ. ივლისის 20-ის—დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1932 წ. № 19, მუხ. 149) შესაბამისად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ჩატარებულ იქნეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, ა/წ. ოქტომბრის განმავლობაში, კომუნალური დანიშნულების საწარმოთა და ქალაქის კეთილმოწყობის აღწერა.

2. აღწერამ უნდა მოიცვას საქალაქო მეურნეობის შემდეგი ელემენტები:

ა) წყლის მიწოდება (წყალსადენი და წყლის მიწოდების სხვა ნაგებობანი);

ბ) გაწმენდა-გასუფთავება (კანალიზაცია, საასენიზაციო ქარავნები და სხვ.);

გ) კომუნალური ელექტრომიწოდება;

დ) გაზოფიკაცია;

ე) თბოფიკაცია;

ვ) საქალაქო კომუნალური მეურნეობის სამგზავრო და სატვირთო ტრანსპორტი (ტრამვაი, ავტობუსები, ტაკსები, საავტო-სატვირთო ტრანსპორტი, სამდინარეო ტრანსპორტი, საჭაპანზიდვო ტრანსპორტის ქარავნები);

ზ) აბანოები;

თ) სამრეცხველოები;

ი) საქალაქო საგზაო-საქვაფენილო მეურნეობა;

კ) ქუჩების განათება;

ლ) ქალაქის მიწები და ქალაქების დაგეგმვა;

მ) ქალაქების მწვანე ნარგავები;

ნ) სახანძრო დაცვის მოწყობა;

ო) სასტუმროები და გლეხის სახლები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) კომუნალური მეურნეობის დამხმარე საწარმონი;

ე) კომუნალური მეურნეობის ახლად ასაგები საწარმონი.

3. აღწერა ვრცელდება ყველა საწარმოზე, მიუხედავად იმისა, თუ რომელ უწყებას ეკუთვნის იგი; ამასთანავე, უკეთუ საწარმო კომუნალურ მეურნეობას არ ეკუთვნის, აღწერილ უნდა იქნეს მისი ის ნაწილი, რომელიც კომუნალურ მეურნეობას უწევს მომსახურეობას.

4. აღწერა ჩატარებულ უნდა იქნეს ყველა ქალაქში, ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას, სარაიონო ცენტრში და მუშათა დაბაში.

5. აღწერის მოწყობა და მისთვის ხელმძღვანელობის გაწევა ეკისრება საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს და მის ადგილობრივ ორგანოებს, კომუნალური მეურნეობის ორგანოების მონაწილეობით.

6. აღწერის წარმატებით ჩატარების მიზნით წინადადება მიეცეს:

ა) საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს, მის ადგილობრივ ორგანოებს და ყველა უწყებას, რომლის გამგებლობაშიაც კომუნალური მეურნეობის საწარმონია, ჩაატარონ მოსამზადებელი მუშაობა აღწერისათვის საანგარიშო მასალების მოსაწესრიგებლად;

ბ) საქალაქო საბჭოებსა და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—იხმარონ ღონისძიებანი სააღწერო მუშაობის ჩასატარებლად, როგორც უაღრესი მნიშვნელობის მუშაობისა, და შექმნან ისეთი პირობები, რომ ეს მუშაობა შესრულებულ იქნეს დადგენილ ვადაზე;

გ) საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის ორგანოებს და სხვა უწყებებსა და ორგანიზაციებს, რომელთა გამგებლობაშიაც კომუნალური დანიშნულების საწარმონია და ქალაქის გარეგანი კეთილმოწყობის ელემენტები (მწვანე ნარგავები, ქუჩების განათება, საგზაო-საქვაფენილო მეურნეობა და სხვა მისთ.),—წარადგინონ საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს მაერ დადგენილ ვადაზე და ფორმით საღნუსხვო ობიექტების დაწვრილებითი სიები.

7. მიენდოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—იხმარონ სათანადო ღონისძიებანი ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე აღწერის ჩატარებისათვის.

საქ. სსრ. ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. აგვიტოს 10.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 195 №-ში 1932 წ. აგვისტოს 22.

ეროვნული ბიბლიოთეკა

200. დადგენილება ს.კ.ს.

განჯის საინჟენერო-სამელიორაციო ინსტიტუტის აკადემიური პერსონალისათვის საცხოვრებელი ფართობის შენარჩუნების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ქ. განჯაში წარგზავნილ საინჟენერო-სამელიორაციო ინსტიტუტის აკადემიურ პერსონალს შეენარჩუნოს საცხოვრებელი ფართობი ქ. ტფილისში 1933 წლის სექტემბრამდე.

საქ. სსრ. ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. აგვისტოს 9.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 194 №-ში 1932 წ. აგვისტოს 21.

ფინანსები

201. დადგენილება ს.კ.ს.

თამბაქოს ნათესის სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისათვის შემოსავლიანობის შემცირებული ნორმების დაწესების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მეთამბაქოობის განვითარებისა და თამბაქოს პლანტაციების ფართობის გადიდების მიზნით დაწესებულ იქნეს შემოსავლიანობის შემცირებული ნორმები, წინათ დაწესებულ ნორმებთან შედარებით, 1932 წელს თამბაქოს ნათესის სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისათვის.

ზემოაღნიშნულის მიხედვით და საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1932 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ გამოცემული 1932 წლის მაისის 26-ის დადგენილების (კან. კრ. 1932 წ. 12 №-ი, მუხ. 87) 35 მუხლის იმ ნაწილის შესაცვლელად, რაც თამბაქოს შემოსავლიანობას შეეხება, დაწესებულ იქნეს 1 ჰექტარი თამბაქოს პლანტაციის შემოსავლიანობის საშუალო რესპუბლიკანური ნორმა 196 მანეთის რაოდენობით (ნაცვლად 370 მანეთისა), ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში და რაიონებში 1 ჰექტარი პლანტაციის შემოსავლიანობის შემდეგი ნორმები მანეთობით:

1.	აფხაზეთი	205 მან.
2.	აჭარისტანი	132 „
3.	წალკის რაიონი	100 „
4.	სიღნაღის „	128 „
5.	ლაგოდეხის „	157 „
6.	ყვარლის „	128 „

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. ბორჯომის „	128	მან.
8. ახალქალაქის	100	„
9. ახალციხის „	100	„
10. ადიგენის „	100	„
11. ტოლოშის „	100	„
12. ამბროლაურის	128	„
13. ზუგდიდის „	149	„
14. ჩხოროწყუს „	149	„
15. წალენჯიხის „	149	„
16. ოზურგეთის „	132	„
17. ლანჩხუთის „	132	„
18. ჩოხატაურის	132	„

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. აგვისტოს 29.
ტფილისი.

---

202. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-18 მუხლის შენიშვნის შეცვლისა და მე-19 მუხლისათვის „თ“ და „ი“ პუნქტების დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 3-ის დადგენილებაში „ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-6 №-ი, მუხ. 71) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-18 მუხლის შენიშვნა (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-13 №-ი, მუხ. 99) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**შენიშვნა.** კოლექტიური მეურნეობების ფეხზე ვაჭრობის თითოჯერითი გამოსაღები არ შეიძლება აღემატებოდეს ერთი დღის ვაჭრობისათვის:

თითო საზიდავზე—1 მან.
მიწაზე და ტარებით—20 კაპ.
თითო სულ მსხვილფეხა საქონელზე—1 მან.
თითო სულ წვრილფეხა საქონელზე—50 კაპ.“

2. მე-19 მუხლს (კან. კრ. 1931 წ. მე-6 №-ი, მუხ. 71; წ. მე-13 №-ი, მუხ. 99) დაემატოს „თ“ და „ი“ პუნქტები შემდეგი შინაარსისა:

[19. ფეხზე ვაჭრობის თითოჯერითი გამოსაღებისაგან განთავისუფლდება:

„თ) ის პირი, რომელიც ჰყიდის მიწაზე და ტარებით საშინაო ნახმარ საგნებს;

ი) ის პირი, რომელსაც გადახდილი აქვს ადგილის საიჯარო ქირა“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მ. დ. ა. **გრ. კუჭაიძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მ. დ. ა. **ვ. ქურდაძე.**

1932 წ. აგვისტოს 22.

ტფილისი.

ᲨᲠᲝᲛᲐ

203. ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ Ს.Კ.Ს.

საშუალო და დაბალი სკოლის მასწავლებელთა სამუშაო ხელფასის დავალიანების შესახებ.

რადგანაც საშუალო და დაბალი სკოლის მასწავლებელთა სამუშაო ხელფასის დავალიანება შეიქმნა იმის გამო, როს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები არღვევენ საბიუჯეტო დისციპლინას, რაც გამოიხატება სპეციალური სამასწავლებლო ფონდის არაპირდაპირი დანიშნულებისამებრ ხარჯვაში, და აგრეთვე იმის გამო, რომ სახელმწიფო ბანკის ადგილობრივი ფილიალები არ იცავენ მასწავლებელთათვის სამუშაო ხელფასის მიცემის არსებულ წესს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს მათი თავმჯდომარეების პირადი პასუხისმგებლობით: ა) ათი დღის ვადაზე ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან მოახდინონ დაბალი და საშუალო სკოლის მასწავლებელთა სამუშაო ხელფასის მთელი დავალიანების სრული ლიკვიდაცია; ბ) იხმარონ ღონისძიება, რათა სავსებით და განუხრელად იქნეს შესრულებული მთავრობის დადგენილება საპეციალური სამასწავლებლო ფონდის შექმნის შესახებ, და გ) შეწყვიტონ აღნიშნული ფონდიდან სახსრის არაპირდაპირი დანიშნულებისამებრ გამოყენება.

2. დაევალოს სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის სამხარეო კონტორას იხმაროს ღონისძიება, რათა საშუალო და დაბალი სკოლის მასწავლებლებს შეუფერხებლად ეძლეოდეთ სამუშაო ხელფასი და რათა სახელმწიფო ბანკის ადგილობრივმა ფილიალებმა დაიცვან მასწავლებელთათვის ხელფასის მიცემის დადგენილი წესი.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს ხუთი დღის ვადაზე ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან გადაგზავნოს იმ რაიონებში, რომელნიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან დოტაციას იღებენ, 1.953.000 მან. ამ დოტაციის ანგარიშში მასწავლებელთა ხელფასის დავალიანების დასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარავად და ამასთანავე უზრუნველყოს ამ თანხების გაცემა მხოლოდ პირდაპირი დანიშნულებისამებრ.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს დაამყაროს თავისი ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით მტკიცე მეთვალყურეობა ამა დადგენილების აღსრულებისათვის; ამასთანავე ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პირნი მიცემულ უნდა იქნენ პასუხისგებაში სადისციპლინო და სისხლის სამართლის წესით.

5. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულმა აღსრულების კომისიამ მოისმინოს ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის სამხარეო კონტორის მოხსენებანი ამა ღადგენილების აღსრულების შესახებ 1932 წლის სექტემბრის პირველ დეკადაში.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. აგვისტოს 23.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 200 №-ში 1932 წ. აგვისტოს 28.

---

204. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ-ის შრომა-გასწორების დაწესებულებებში სამსახურის წესდების 12 და 21 მუხლების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ შრომა-გასწორების დაწესებულებებში სამსახურის წესდების 12 და 21 მუხლები, რომელი წესდებაც დამტკიცებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის მარტის 5-ის დადგენილებით (კან.კრ. 1932 წ. 14 №-ი, მუხ. 124), მიღებულ იქნეს შემდეი რედაქციით:

„12. ამა წესდების მე-9 და 10 მუხლებში აღნიშნულ ვადაზე ადრე სამსახურის თვითნებისად მიტოვებისათვის შრომა-გასწორების დაწესებულებათა ოპერატიული და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის მომუშავენი მიიცემიან პასუხისგებაში სამხედრო დანაშაულთა დებულების მიხედვით (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის დანართი)".

„21. შრომა-გასწორების დაწესებულებათა ოპერატიული და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის პირთა დანაშაული, რაც მიმართულია სამსახურისათვის დადგენილი წესის წინააღმდეგ, გამოიწვევს პასუხისმგებლობას სამხედრო დანაშაულთა დებულების მიხედვით (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის დანართი)".

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მ.დ.ა. **გ. კუჭაიძე.**

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მ.დ.ა. **ვ. ქურდაძე.**

1932 წ. აგვისტოს 22.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლის სამართალი

205. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„სახელმწიფო საწარმოების, კოლმეურნეობების და კოოპერაციის ქონების დაცვისა და საზოგადოებრივი (სოციალისტური) საკუთრების განმტკიცების თაობაზე“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის აგვისტოს 7-ის დადგენილების საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განხორციელების შესახებ.

რათა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განხორციელებულ იქნეს სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის აგვისტოს 7-ის დადგენილება „სახელმწიფო საწარმოების, კოლმეურნეობების და კოოპერაციის ქონების დაცვისა და საზოგადოებრივი (სოციალისტური) საკუთრების განმტკიცების შესახებ“ (სსრკ-ის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის „იზვესტია“ № 218, 1932 წლის აგვისტოს 8-ისა), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

1. საქმეები საკოლმეურნეო და კოოპერატიული ქონების მტაცებლობის შესახებ (მოსავლისა მინდვრად, საზოგადოებრავი მარაგისა, ოთხფეხი საქონლისა, საწყობიდან და მაღაზიიდან საქონლისა და სხვ.), უკეთუ იგი შეიცავს იმ საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ნიშნებს, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 177 („გ“, „ვ“ და „ზ“ პუნქტები), 180, 181 და 122 მუხლებში, მიეკუთვნოს საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს, აფხაზეთის ავტ. სსრ-ის და აჭარისტანის ავტ. სსრ-ის უმაღლესი (უზენაესი) სასამართლოების და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მთავარი სასამართლოს ქვემდებარეობას, კუთვნილებისამებრ.

2. წინადადება მიეცეს სასამართლო ორგანოებს წინა მუხლში აღნიშნული საზოგადოებრივად საშიში ქმედობისათვის შეუფარდონ სასამართლო რეპრესიის ღონისძიებანი, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის აგვისტოს 7-ის დადგენილებით, ე. ი. სოციალური დაცვის უმაღლესი ღონისძიება— დახვრეტა მთელი ქონების კონფისკაციით, ხოლო შემამსუბუქებელ გარემოებათა დროს შესცვალონ ეს ღონისძიება თავისუფლების აღკვეთად ათი წლით და ქონების კონფისკაციით.

3. ზემოაღნიშნული საზოგადოებრივად საშიში ქმედობის საქმეების წინასწარ გამოკვლევას აწარმოებს გამომძიებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II.

1. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 159¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„159¹. ძალადობითი მოქმედება და ძალადობის ხმარების დამუქრება, ჩადენილი კოლმეურნეების მიმართ იმ მიზნით, რომ ისინი იძულებულ იქნენ გამოვიდნენ კოლმეურნეობიდან სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ჩასაშლელად, და აგრეთვე მიწოდება ასეთი მოქმედებისადმი, გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ხუთი წლისა“.

2. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 159¹ მუხლით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობის საქმეების განხილვა დაეკისროს, კუთვნილებისამებრ, საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს, აფხაზეთის ავტ. სსრ-ის და აჭარისტანის ავტ. სსრ-ის უმაღლეს (უზენაეს) სასამართლოებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მთავარ სასამართლოს, თანაც უფლება მიეცეს მათ ცალკეულ შემთხვევებში გადასცენ ამ საქმეების განხილვა სახალხო სასამართლოებს.

3. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 159¹ მუხლით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობის საქმეების წინასწარ გამოკვლევას აწარმოებს გამომძიებელი.

III.

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს და რესპუბლიკის პროკურორს:

ა) უზრუნველყონ ზემოაღნიშნული კატეგორიის საზოგადოებრივად საშიში ქმედობის სასწრაფო წესით გამოკვლევა და სათანადო საქმეების რიგს გარეშე განხილვა სასამართლო ორგანოებში; ამასთანავე საჭირო შემთხვევაში უნდა მოეწყოს გამსვლელი სესიები:

ბ) იხმარონ ღონისძიებანი აღნიშნული კატეგორიის საქმეებისადმი ფართო საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღების მისაქცევად;

გ) ჩაატარონ თავიანთი ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მუშათა და კოლმეურნეთა აქტივის მონაწილეობით, ახსნა-განმარტებითი კამპანია კოლმეურნეობებსა, სავაჭრო საწარმოებსა და ტრანსპორტში, აგრეთვე სოფლის მოსახლეობაში სსრ კავშირის მთავრობის ღონისძიებათა შესახებ სახელმწიფო საწარმოების, კოლმეურნეობების და კოოპერაციის ქონების დაცვისა და საზოგადოებრივი საკუთრების განმტკიცების ხაზით.

2. მიენდოს საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს იხმარონ ღონისძიებანი, რათა ამ რესპუბლიკების და ოლქის ტერიტორიაზე განხორციელებულ იქნეს სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული 1932 წლის აგვისტოს 7-ის დადგენილება.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მ.დ.ა. **გ. კუჭაიძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის მდივნის მ. დ. ა. **ვ. ქურდაძე.**

1932 წ. აგვისტოს 15.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 190 №-ში 1932 წ. აგვისტოს 16.

---

206. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

წყლის ტრანსპორტზე ტვირთის მტაცებლობის საქმეების ქვემდებარეობისა და ამ დანაშაულისათვის სასამართლო რეპრესიის ღონისძიებების შესახებ.

„სახელმწიფო საწარმოების, კოლმეურნეობების და კოოპერაციის ქონების დაცვისა და საზოგადოებრივი (სოციალისტური) საკუთრების განმტკიცების შესახებ" გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის აგვისტოს 7-ის დადგენილების (სსრკ-ის ცენტრ. აღმასრ. კ-ტის „იზვესტია" № 218, 1932 წლის აგვისტოს 8-ისა) I-ლი კარის შესაბამისად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„სახელმწიფო საწარმოების, კოლმეურნეობების და კოოპერაციის ქონების დაცვისა და საზოგადოებრივი (სოციალისტური) საკუთრების განმტკიცების თაობაზე გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის აგვისტოს 7-ის დადგენილების საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განხორციელების შესახებ" მიღებული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის აგვისტოს 15-ის დადგენილების (გაზ. „კომუნისტი" № 190 1932 წლის აგვისტოს 16-ისა) I-ლი კარის მოქმედება გავრცელებულ იქნეს წყლის (ზღვისა და მდინარის) ტრანსპორტზე ტვირთის მტაცებლობის საქმეებზე, ე. ი.: ა) მიეკუთვნოს ეს საქმეები საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს და საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი (უზენაესი) სასამართლოების ქვემდებარეობას, კუთვნილებისამებრ, ბ) შეფარდებულ იქნეს აღნიშნული საზოგადოებრივად საშიში ქმედობისათვის სასამართლო რეპრესიის ღონისძიებანი, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის აგვისტოს 7-ის დადგენილებაში (სოციალური დაცვის უმაღლესი ღონისძიება—დახვრეტა მთელი ქონების კონფისკაციით, ხოლო შემამსუბუქებელ გარემოებათა დროს ამ ღონისძიების შეცვლა თავისუფლების აღკვეთად 10 წლით და ქონების კონფისკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციით), და გ) წინასწარი გამოკვლევა აღნიშნული საზოგადოებრივად სამშენ ქმედობის საქმეებისა მიეკუთვნოს გამომძიებლის გამგებლობას.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მ.დ.ა. **გ. კუჭაიძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მ.დ.ა. **ვ. ქურდაძე.**

1932 წ. აგვისტოს 22.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 197 №-ში 1932 წ. აგვისტოს 24.

---

207. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სამხედრო დანაშაულთა დებულების (სისხლის სამართლის კოდექსის დანართი) 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის შეცვლისა და სისხლის სამართლის კოდექსის 127^1, 127^2 და 127^3 მუხლების ამოშლის შესახებ.

„სამხედრო დანაშაულთა დებულების შეცვლის შესახებ" გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის ივნისის 7-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კან. 1932 წ. 44 №-ი, მუხ. 259), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სამხედრო დანაშაულთა დებულების 1-ლი მუხლის მეორე ნაწილი (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის დანართი—საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-18 №-ი, მუხ. 204) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„სამხედრო დანაშაულად ჩაითვლება აგრეთვე სამსახურის შესრულებისათვის დადგენილი წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, რასაც ჩაიდენს სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე საწარმოთა და ნაგებობათა დამცველი გამხედროებული რაზმისა და სახანძრო დამცველი გამხედროებული რაზმის სამწყობრო და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის მომუშავე, მუშათა და გლეხთა მილიციის საოპერატივო-სამწყობრო და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის მომუშავე, ზურგის ლაშქრის ნაწილის თავმდგომთა შედგენილობის პირი და აგრეთვე შრომა-გასწორების დაწესებულების საოპერატივო და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის მომუშავე".

2. სისხლის სამართლის კოდექსის 127^1, 127^2 და 127^3 მუხლები (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-13 №-ი, მუხ. 130; 1930 წ. მე-10 №-ი, მუხ. 122 და 1931 წ. მე-18 №-ი, მუხ. 204) ამოიშალოს.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მ. დ. ა. **გ. კუჭაიძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მ. დ. ა. **ვ. ქურდაძე.**

1932 წ. აგვისტოს 22.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

208. დადგენილება ს.კ.ს.

იმ დოკუმენტების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება სწარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის მაისის 23-ის დადგენილების „ა“ კარს, რა დადგენილებაც შეეხება იმ დოკუმენტებს, რომლებითაც გადახდევინება სწარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად (კან. კრ. 1932 წ. 15 №-ი, მუხ. 126), დაემატოს პუნქტი 22 შემდეგი შინაარსისა:

[სანოტარო კონტორები და მათი მონაცვლე ორგანოები (სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 1-ლი მუხლი—სსრ კან. კრ. 1928 წ. 16 №-ი, მუხ. 157) გაუკეთებენ სააღსრულებო წარწერებს შემდეგ დოკუმენტებს: „ა“. ფულის გადასახდევინებლად:...]

„22. წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის ორგანოების ანგარიშებს ტვირთის გამგზავნელისათვის ან მიმღებისათვის ნავჭურჭლის მოცდენისა და ტვირთის შენახვის დავალიანების გადახდევინების შესახებ“.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. აგვისტოს 10.
ტფილისი.

---

209. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ალიმენტების გადახდის საქმეების სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოების ქვემდებარეობიდან გამორიცხვისა და სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოების დებულების მე-2 მუხლის „გ“ ლიტერის შეცვლის შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1932 წლის ივლისის 27-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ-ის კან. კრ. 1932 წ. 61 №-ი, მუხ. 355), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

ალიმენტების გადახდის საქმეები გამორიცხოს სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოების ქვემდებარეობიდან.

494

II.

ამისდამიხედვით სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოების დებულების (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. 22 №-ი, მუხ. 318; 1932 წ. 17 №-ი, მუხ. 142) მე-2 მუხლის „ბ“ ლიტერა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

[2. სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლო განიხილავს შემდეგ საქმეებს.....]

„ბ. **სამოქალაქო საქმეები:** სარჩელს თანხით არა უმეტეს სამოცდათხუთმეტი მანეთისა, რაც გამომდინარეობს ქონებრივი უფლებრივი ურთიერთობიდან“.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს.-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის მდივნის მ.დ.ა. **ვ. ქურდაძე.**

1932 წ. სექტემბრის 13.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 224 №-ში 1932 წ. სექტემბრის 26.

მთავლიტი 2127. საქ. სახკომსაბჭოს სტმბა. შეკვ. 1560. ტირაჟი 1.300,